SAM.gov-ზე რეგისტრაცია სავალდებულოა გრანტის მიმღები ყველა ორგანიზაციისთვის. რეგისტრაცია არის სამეტაპიანი და 3-4 კვირიანი პროცესი, ამიტომ რეკომენდებულია რეგისტრაციის დროულად დაწყება.
კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ამ პორტალზე დაურეგისტრირებელ ორგანიზაციებზე გრანტი ვერ გაიცემა.

რეგისტრაციის სამივე ეტაპი არის უფასო, მათ შორის SAM.gov-ის ყოველწლიური განახლებაც.

რეგისტრაციას აკეთებთ შემდეგი **თანმიმდევრობით:**

1. იღებთ ორგანიზაციისთვის DUNS კოდს (Dun & Bradstreet)
2. იღებთ ორგანიზაციისთვის NCAGE კოდს (შესაძლებელია DUNS-თან ერთად დაწყება)
3. ამ ორი კოდის მიღების შემდგომ, რეგისტრირდებით www.SAM.gov -ზე.

დეტალური ინსტრუქცია:

1. DUNS კოდი
   ყველა გრანტიორ ორგანიზაციას აუცილებლად უნდა ჰქონდეს 9-ნიშნა Data Universal Numbering System (DUNS) კოდი მინიჭებული Dun & Bradstreet მიერ.
   თუ არ იცით, აქვს თუ არა თქვენს ორგანიზაციას DUNS კოდი, შეგიძლიათ გადაამოწმოთ ბმულზე: http://fedgov.dnb.com/webform/CCRSearch.do
   თუ DUNS კოდი არ გაქვთ, მისი მოთხოვნა შეგიძლიათ 1-866-705-5711 ნომერზე დარეკვით ან http://fedgov.dnb.com/webform ბმულზე შესვლით და მოთხოვნით.
   DUNS-ზე რეგისტრაციის პროცესში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად დარეკეთ 1-866-705-5711 ან მიწერეთ: **SAMhelp@dnb.com**

2. NCAGE კოდი
   NCAGE კოდის მოთხოვნის პროცესი შეგიძლიათ DUNS-ის პარალელურად გააკეთოთ.
   NCAGE კოდს ითხოვთ შემდეგ ვებგვერდზე:
   https://eportal.nspa.nato.int/AC135Public/scage/CageList.aspx
   დეტალურ ინსტრუქციას ნახავთ ამ ბმულზე:
   https://eportal.nspa.nato.int/AC135Public/Docs/US%20Instructions%20for%20NSPA%20NCAGE.pdf
   NCAGE კოდის აღების პროცესში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად დარეკეთ 1-269-961-7766 ან მიწერეთ: NCAGE@dlis.dla.mil

   სანამ გადახვალთ მესამე ეტაპზე, დარწმუნდით, რომ თქვენი ახალაღებული NCAGE კოდი არის სისტემაში: https://cage.dla.mil/search
   თუ სისტემაში არ არის NCAGE კოდი გააქტიურებული, დარეკეთ 1-877-352-2255 ან მიწერეთ dlacontactcenter@dla.mil.

3. საბოლოო ეტაპზე, ორივე კოდის აღების შემდეგ, დარეგისტრირდით www.SAM.gov -ზე.

იმისთვის, რომ SAM.gov -ზე პერსონალური ანგარიში (personal account) შექმნათ, საჭიროა ჯერ https://login.gov/create-an-account/ დარეგისტრირდეთ და შემდგომ login.gov-ის ანგარიშით შეხვიდეთ SAM.gov-ზე.
შემდეგ დაარეგისტრირეთ თქვენი ორგანიზაცია (Register your Entity). დაგჭირდებათ DUNS, NCAGE კოდები და ინფორმაცია თქვენს ორგანიზაციაზე. ! ყურადღება მიაქციეთ, რომ DUNS კოდის აღებისას შეყვანილი ინფორმაცია (ორგანიზაციის დასახელება, მისამართი) ზუსტად დააკოპიროთ SAM.gov-ზეც. თუ ერთმანეთს არ დაემთხვა, ვერ დაასრულებთ რეგისტრაციას.
რეგისტრაციას გასააქტიურებლად სჭირდება რამდენიმე დღე.
SAM-ზე რეგისტრაციის პროცესში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად დარეკეთ 1-866-606-8220 ან მიწერეთ: **SAMhelp@dnb.com**

https://www.fsd.gov/gsafsd_sp/?id=gsa_landing
ეს არის SAM.gov-ის Help-desk-ის ბმული, სადაც თავმოყრილია დამხმარე ინსტრუქციები და კითხვებზე პასუხი.

ორგანიზაცია რეგისტრირდება მხოლოდ ერთხელ და მიღებული კოდით და რეგისტრაციით მომავალშიც ითანამშრომლებთ აშშ-ის საელჩოს სხვა საგრანტო შესაძლებლობებზეც.

SAM.gov-ზე რეგისტრაციაც და ყოველწლიური განახლებაც არის უფასო და ელექტრონულად მიღებული ფასიანი შემოთავაზებები განახლებაზე არასდროს არის ოფიციალური და ნამდვილი.